



კონკურსის პროცესთან ან შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიებისა და დავების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში კონკურსის პროცედურებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შექმნილია საპრეტენზიო კომისია, რომლის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება 3 დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგენილი ოქმი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

კონკურსის პროცესთან ან შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

